პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 148 (13233) | პარასკევი, 25 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.


**ვანსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებასა და მათი როლის ამაღლებას. პარტიის რაიკომები ყოველდღიურად უნდა ეყრდნობოდნენ მათ, ეხმარებოდნენ მასებთან ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მოწყობაში.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან.**

# მებრძოლი ორგანიზატორები

ომრომა, შენება, შემოქმედება და ყველა ის სასიცოცხლო მოძრაობა, მთელს ჩვენს დიდ ქვეყანაში ასე ფართოდ რომ არის გაშლილი, მოითხოვს ადამიანთა ძალებისა და ენერგიის გონივრულად გამოყენებას, მათს სწორად წარმართვას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად.

და ამ შრომაში, შენებასა და შემოქმედებაში დიდია როლი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც საბჭოთა საწოლეოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძირითად რგოლებს წარმოადგენენ.

პირველადი ორგანიზაცია, როგორც პარტიის საფუძველი, მოღვაწეობს სწორედ იქ, სადაც უშუალოდ წყდება წარმოებისა და ადამიანთა აღზრდის პრაქტიკული საკითხები, პოკმედება მასების შეადგენლობა.

ჩვენი პარტია მუდმივად ზრუნავს იმისათვის, რომ განუხრელად იზრდებოდეს პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც აღადგინეს პარტიული ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნაშენით აგების ლენინური პრინციპი, ფართო შესაძლებლობა შექმნეს თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის. პირველადი პარტორგანიზაციების როლის ამაღლებისათვის ზრუნვით არის გასმეგალული მომდინარე წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებიც.

და აი პარტიულმა კომიტეტებმა უკანასკნელ ხანს უფრო საქმიანად მოჰკიდეს ხელი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ამან კი თავი იჩინა პრაქტიკული შედეგებით.

მრავალი მაგალითი, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ, ნათლად მოწმობს იმას, თუ შემოქმედებითის მუშაობაში როგორ იზრდებიან, როგორ იწრთობიან და იკრებენ ძალებს ქალაქისა და სოფლის პარტიული ორგანიზაციები. როგორ უფრო სწორად, გონივრულად წყვეტენ ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს.

ბევრი სასარგებლო საქმის ინიციატორები და ორგანიზატორები არიან თბილისის ელმავალსამშენებლო, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მახარაძის რაიონის სოფელ შრომის, წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის, ბოლნისის რაიონის ხოფელ ფახრალოს კოლმეურნეობების პარტორგანიზაციები. მოწინავე პარტორგანიზაციების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის, რომ აქ კომუნისტებმა სწორად იპოვნეს თავიანთი ადგილი ორგანიზაციის მუშაობაში, ღრმად სწვდებიან წარმოების საკითხებს და კარგად აქვთ შეგნებული, რომ თვითეული მათგანი პასუხისმგებელია საკუთარი თავისა და მთელი კოლექტივის წინაშე.

სწორედ ამიტომ არის, რომ ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში თავი იჩინა კარგმა თაოსნობამ, გაჩნდა ადამიანებთან მუშაობის ახალი სასარგებლო ფორმები, იხვეწება და სრულყოფილი ხდება მოღვაწეობის სტილი და მეთოდები.

ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია ბევრი ტექნიკური სიახლის ინიციატორია. მაგალითად, პარტიულ კრებაზე საკითხის საფუძვლიანი განხილვის, კოსტრტული ღონისძიებების დასახვისა და მათი შესრულებისათვის ყოველდღიური კონტროლის დაწესების შედეგად ფრთა შეისხა კომუნისტთა წინადადებამ იმის შესახებ, რომ მაღაროს საწარმოო უბნებში დანერგილიყო მარგანეცის ფენების სელექციური აფეთქება-გამოღება. ამას დიდი ეკონომიური ეფექტი მოჰყვა.

მეტად საყურადღებოა ახალგაზრდობის აღზრდის ის ფორმები, რასაც თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტი იყენებს. აქ პრაქტიკაში აქვთ შემოღებული „სამი თაობის შეხვედრები“, სადაც საუბრობენ საწარმოს რევოლუციურ ტრადიციებზე, მის ისტორიაზე. თავისი საწარმოს გმირული წარსული სიამაყეს უნერგავს ახალგაზრდა მუშას, უვითარებს ინტერესს პატრიოტული შრომისადმი.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში როდია მიღწეული კომუნისტთა მაღალი აქტივობა, ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება. ხშირად საქმე თვითდინებით მიდის, ზოგან კი პარტიული საქმიანობა თითქმის ჩაშლილია, ან როგორ შეიძლება შეაფასო ამ სანაციის რაიონის დამალოს კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის და მისი მდივნის მუშაობა, როცა აქ თვით კომუნისტებიც კი არღვევენ დისციპლინას, გაურბიან შრომას!

სწორედ ასეთი ფაქტები იმაზე მიგვითითებენ, რომ ზოგიერთმა პარტიულმა კომიტეტმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოჰკიდა ხელი პირველადი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების საქმეს, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული წარმატების ბედი.

თვითეული საქალაქო, რაიონული პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილი შეიძლება სწორად მივიჩნიოთ მხოლოდ მაშინ, როცა ყველაფერი კეთდება პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის, მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებისათვის, როცა ყურადღების ცენტრშია პარტიის ამ ძირითადი რგოლებისადმი ყოველდღიური დახმარება.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი თავიანთ ხელმძღვანელობაში ემყარებიან ორგანიზატორული და პოლიტიკური მოღვაწეობის მდიდარ გამოცდილებას. ამასთანავე სისტემატურად აუმჯობესებენ, ამდიდრებენ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს.

დავეხმაროთ პირველადს პარტორგანიზაციებს — ეს გულისხმობს იმ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, რომ უკეთ მოვაწყოთ პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა სწავლება, მათი მუდმივი ინსტრუქტაჟი, მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების გავრცელება. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში შექმნილია სკოლები. საჭიროა ავამაღლოთ ამ სკოლებში მეცადინეობის ხარისხი, რომ მან პარტიულ აქტივისტს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული ორგანიზატორული მუშაობის კარგი ჩვევებიც მისცეს. არ უნდა დავიწყოთ პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეთა და კომიტეტებისა და ბიუროების წევრთა სწავლებაც.

„კომუნისტში“ ამასწინათ გამოქვეყნდა წერილები ქალაქ მოსკოვის კომუნისტთა ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებაზე. ეს გამოცდილება უთუოდ დაეხმარება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს. საჭიროა, უფრო ფართოდ გავავრცელოთ პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილება. იგი მცირე როდია როგორც მომცე რესპუბლიკების, ისე საქართველოს კომუნისტთა ცხოვრებაში.

დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება მასალები პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თათბირისა, რომელიც თელავის რაიონში პარტიის რაიკომმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყეს. ასეთი თათბირების მიზანია შესწავლილ იქნას პარტიული აქტივისტების სურვილები, წინადადებები, აგრეთვე სიძნელენი, რაც მუშაობაში ხვდებათ.

უკეთ რომ დაეხმაროს რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, „კომუნისტის“ რედაქცია გაზეთის ფურცლებზე აწყობს „პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის სკოლას“.

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესება — ეს თვითეული პარტიული კომიტეტის, ყოველი პარტიული ორგანოს მთავარი, გადაუდებელი ამოცანაა!

## კომუნისტები წინა ხაზზე

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ის პარტიული ჯგუფი, რომელსაც მოწინავე ხარატი ზ. გველუკაშვილი ხელმძღვანელობს, ერთ-ერთი მოწინავეა საწარმოში. „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ეს სურათი გუშინ იმ დროს გადაიღო როცა პარტჯგუფორგანიზატორი ზ. გველუკაშვილი (მარჯვნივ) პარტიული ჯგუფის წევრ, ახალგაზრდა კომუნისტ ე. ტაველალაშვილთან ერთად დღიურში მორიგ ჩანაწერს აკეთებდა.

ამ ბილდას ჰექტარზეა გაშლილი საქართველოს მანქანათა საგამოცდო სადგურის მცხეთის მევენახეობის საცდელი მეურნეობის ვენახები. წელს მცხეთელმა მევენახეებმა ვალდებულება აიღეს სახელმწიფოს ჩაბარონ 1.300 ტონა ყურძენი. მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით აქ შექმნილია მექანიზატორთა კომპლექსური რგოლები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტი მექანიზატორები.

თვითეულ რგოლს მუდმივად აქვს მიჩენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და 100-150 ჰექტარი ვენახი. ახლა მეურნეობის მექანიზატორთა რგოლები ვენახის შეწამვლაზე მუშაობენ; ისინი დღეში 100-110 ჰექტარ ვენახის ფართობს წამლავენ.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) მეურნეობის დირექტორი გ. ბუთხუზი, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ზაქარიძე, მექანიზატორი ს. მელაძე, რგოლის ხელმძღვანელი ა. ძელისაშვილი, მისი რგოლის წევრი ს. მელაძე და ეკონომისტი შ. კიკალიშვილი საუბრობენ მევენახეობაში ტექნიკის უკეთ გამოყენების შესახებ.

ტექსტი და ფოტო ს. კილაძისა.

ნარმოების ძირეული საკითხები თბილისის ამბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი წარმოების პარტბიუროს მოღვაწეობის მთავარი უბანია. ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტბიურომ ყოველმხრივ განიხილა მოსამზადებელ საამქროში ქსელვის ხარისხის ამაღლების საკითხი.

სურათზე: კომუნისტები (მარცხნიდან) საქსოვი წარმოების პარტბიუროს მდივანი ს. ჯანელიძე, პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ინჟინერი ნ. დუნდუა და მქსელავი ე. დომაური მოსამზადებელ საამქროში ამოწმებენ პარტბიუროს მიერ მიღებული დადგენილების შესრულებას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## კომგაზეთა შეჯიბრება

### ჩემი პიროგა

მალე დაიწყება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. ამ სამუშაოს სწრაფად შესასრულებლად მზად ვართ. სიღნაღის რაიონის ტიბაანის კომბაინერის ს. ბეჟანიშვილის პატრიოტული თაოსნობის პასუხად პირობას ვიძლევი 12 სამუშაო დღეში მოსავალი ავიღო 240 ჰექტარზე, ამასთან დიდი რაოდენობით დავზოგო საწვავი.

ტ. ასპანიძე,
ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს კოლმეურნეობის კომბაინერი.

### არც ჩვენ ჩამოვრჩებით

ზემო ქართლში მალე ალოოობა დაიწყება. ბეგმრის მიხეიშვილი ხორბალი 200 ჰექტარზე უნდა ავიღოთ. ბავშვანი სიღნაღელი მექანიზატორის თაოსნობას და გაფაფხვიტე მოსავლის აღება 250 ჰექტარზე 12 სამუშაო დღეში დავამთავრო. მოსავალი წელს კარგია — ჰექტარზე 18-20 ცენტნერი ხორბალი უნდა გავლეწოთ.

ა. ბაბანიძე,
ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის კოლმეურნეობის კომბაინერი.

# ა. კოსიგინმა მიიღო

## ინგლისის, განისა და ნიგერიის ელჩები

**28 ივნისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღო ინგლისის, განისა და ნიგერიის ელჩები. ელჩებმა მათი თხოვნით.

ელჩებმა თავიანთი მთავრობების დავალებით სოხოვეს საბჭოთა მთავრობას საბჭოთა კავშირში მიიღოს ინგლისის, განის, ნიგერიის და ტრინიდადისა და ტობაგოს მთავრობათა მეთაურების მისია ვიეტნამის საკითხის თაობაზე.

ელჩებს მიეცათ შემდეგი პასუხი:

„სსრ კავშირის მთავრობა (ანონიმად ლებს განცხადებას, რომლითაც მოგმართავთ თქვენი ქვეყნების მთავრობათა დავალებით. ამ განცხადებაში საქმე ეხება თხოვნას საბჭოთა კავშირში მიეღოთ ინგლისის, განის, ნიგერიის და ტრინიდადისა და ტობაგოს მთავრობათა მეთაურების მისია ვიეტნამის საკითხის თაობაზე.

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ, საბჭოთა მთავრობის აზრით, ამ

## ირანელი სტუმრები ურალის მიწაწყალზე

**სვერდლოვსკი**, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს სვერდლოვსკში ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი ფარაჰ ფეჰლევი, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეევთ საბჭოთა კავშირში იმყოფებიან.

შაჰინშაჰთან ერთად სვერდლოვსკში ჩამოვიდნენ მისი თანმხლები ირანელი და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები.

## ჩვენს დიდ სამეგობროში

## სტუმრად პიდრომშენებლებთან

**ბრატსკი.** 24 ივნისი. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური მდივანი იოსიპ ბროზ ტიტო, იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ ციმბირის ელექტრობის დედაქალაქ ბრატსკში. მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიკოიანი, იოსიპ ბროზ ტიტოს თანმხლები საბჭოთა რეფიციალური პირები.

სტუმრებმა ინტერესით შეიტყვეს, რომ ბრატსკის ზღვა მსოფლიოს უდიდესი ხელოვნური წყალსაცავია. საპროექტო ნიშნებამდე ავსების შემდეგ ეს წყალსაცავი დაიტევს 170 მილიარდ კუბურ მეტრ წყალს.

სამანქანო დარბაზში სტუმრები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ თექვსმეტ უნიკალურ აგრეგატს, რომლებმაც უკვე გამომუშავეს ოცდაათ მილიარდამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ელექტროსადგურის დათვალიერების შემდეგ იოსიპ ბროზ ტიტომ და ა. ი. მიკოიანმა ჩანაწერები დატოვეს ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის საპატიო სტუმართა წიგნში.

ბრატსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და პარტიის ბრატსკის საქალაქო კომიტეტმა სადილი გამართეს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს პატივსაცემად. სადილმა გაუწყრფელ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნაშუადღევს იოსიპ ბროზ ტიტო და ა. ი. მიკოიანი ბრატსკიდან ირკუტსკში გაფრინდნენ.

## ᲘᲝᲡᲘᲞ ᲑᲠᲝᲖ ᲢᲘᲢᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ბრატსკი, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს ბრატსკში ჩამოვიდნენ ამხანაგები იოსიპ ბროზ ტიტო, ა. ი. მიკოიანი და სხვები.

## ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲘ

მოსკოვი, 24 ივნისი. (საკდესის კორ.). სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის კოლეგიამ დღეს განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა. „თბილგეირაბმშენის“ უფროსმა გ. გოცირიძემ თქვა, რომ პირველი რიგის ექვსივე სადგურზე ახლა მიმდინარეობს მოპირკეთების სამუშაოები. ეწარმოებს ვენტილაციისა და შიდა ნაგებობების მარმარილოთი და გრანიტით მოპირკეთება, ფართოდ იყენებენ სინთეზურ მასალებს. უკვე დაგებულია რამდენიმე კილომეტრი მიწისქვეშა რკინიგზა. დაიწყო წევის ქვესადგურების დამონტაჟება, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობათა დამონტაჟება. მთავრდება ესკალატორების აგება.

თბილისის საქალაქო მიწისქვეშა გზა რთულ პირობებში შენდება. გვირაბგამყვანებს დიდი ჯაფა დაუწვათ, რათა გზა გაეკაფათ კლდოვან გრუნტში, დაემორჩილებინათ მიწისქვეშა წყლები, ორჯერ გაევლოთ მტკვრის კალაპოტის ქვეშ. ქართველ მეტროშენებლებს მხარში ამოუდგნენ მოსკოველი, ლენინგრადელი და კიეველი სპეციალისტები.

თბილისის მეტროს პირველი რიგი — 6,3 კილომეტრი — მწყობრში წელს ჩადგება. მშენებლებს განზრახული აქვთ დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის გაუშვან პირველი საცდელი მატარებელი.

## ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲝᲜᲒᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

**საბჭოთა** კავშირში ორ კვირას იმყოფებოდა კონგოს რესპუბლიკის (ბრაზავილის) დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა კონგოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი, სრულუფლებიანი მინისტრი ისააკ გომეზი.

სსრ კავშირისა და კონგოს რესპუბლიკის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე გამართული მოლაპარაკების შემდეგ 1965 წლის 24 ივნისს სსრ კავშირმა და კონგოს რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-კონგოს შესახებ ხელშეკრულებას. (საკდესი).

## ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

# ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲐᲣᲛᲘᲐᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲔᲠᲔᲛᲘᲐᲜᲘ. (საეც. კორ.). ჩვენი გაზეთის მომდინარე წლის 16 ივნისის ნომერში დაბეჭდილი წერილიდან „შაუმიანელები ჯაფარიძელებთან“ მკითხველებმა იციან, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ სომხეთის სსრ ჯ. ერევნის შაუმიანის რაიონის XXII პარტყრილობისა და წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობების მშრომელები. შაუმიანელები პირველნი ესტაფეტნენ ჯაფარიძელებს და ბევრი სასარგებლო რჩევა მიიღეს მათგან.

ამ დღეებში კი შაუმიანელებს ეწვია ჯაფარიძელთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პარტორგანიზაციის მდივანი შ. ᲚᲔᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ზოოტექნიკოსი ბ. ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, კოლმეურნეობის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე მ. ᲒᲝᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ინჟინერ-მექანიზატორი ე. ᲛᲘᲐᲜᲯᲘᲐᲜᲝᲕᲘ, მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ᲢᲝᲛᲐᲚᲘᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ, მეკამეჩეობისა და მელორეობის ფერმის გამგე Დ. ᲒᲝᲡᲢᲝᲠᲘᲐᲜᲨᲕᲘᲚᲘ, მწველავი ე. ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ და სხვები.

ჯაფარიძელ კოლმეურნეთა დელეგაციის წევრებმა გულდასმით დაათვალიერეს შაუმიანელთა მეცხოველეობის ფერმები, ვენახები, ხეხილის ბაღები, მინდვრები, გაეცნენ მათს შრომის მეთოდებსა და წლების მანძილზე შეძენილ მდიდარ გამოცდილებას.

შაუმიანელებს 140 მაღალპროდუქტიული ძროხა ჰყავთ. შარშან ერთ ძროხაზე საშუალოდ 3.800 კილოგრამი რძე მიიღეს. ფერმაში ზოგიერთი ძროხა 4.000-4.500 კილოგრამზე მეტ რძეს იძლევა.

მეცხოველეობაში მოპოვებულ წარმატებებზე, რძისა და ხორცის წარმოების გადიდების საკუთარ გამოცდილებაზე ჯაფარიძელებს ფერმაში ესაუბრნენ კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი მ. ᲧᲐᲩᲘᲫᲘᲐᲜᲘ და ვეტექიმი ა. ᲐᲑᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲘ.

— მართალია, თქვენ უფრო მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გყავთ, მაგრამ ერთ ძროხაზე წველადობა ჩვენთან გაციცლებით მეტია, — ამბობს მ. ᲧᲐᲩᲘᲫᲘᲐᲜᲘ, — ამას ჩვენ პირველ რიგში პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებითა და ზოოტექნიკური წესების დაცვით მივაღწიეთ.

— თქვენს გამოცდილებას ჩვენც დავნერგავთ წარმოებაში, — ამბობს გ. ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. — სამაგიეროდ ჩვენ რძის ცხიმიანობის მომატების საქმეში დაგეხმარებით.

შაუმიანელთა ვენახები 162 ჰექტარზეა გადაბმული. აქედან 142 ჰექტარი სრულმოსავლიანია. ისინი ყოველწლიურად ჰექტარზე 100-120 ცენტნერ ყურძენს იღებენ. განსაკუთრებით უხვმოსავლიანია „არარატის“ ჯიშის ვაზი. ჯაფარიძელებმა და შაუმიანელებმა გადაწყვიტეს ერთმანეთს გაუწევნონ მეგობრობის ვენახები. შაუმიანელები „არარატის“ ჯიშის ვაზს გააშენებენ მილარში, ხოლო ჯაფარიძელები „რქაწითლისას“ შაუმიანელთა ხილის ბაღების ახლოს.

მეორე დღეს ჯაფარიძელები XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის აქტივს შეხვდნენ. სიტყვებით გამოვიდნენ: ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ᲧᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი შ. ᲚᲔᲥᲐᲨᲕᲘᲚᲘ, შაუმიანის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ᲛᲔᲫᲔᲚᲣᲛᲘᲐᲜᲘ, ბრიგადირი მ. ᲐᲑᲐᲠᲝᲜᲘᲐᲜᲘ, მწველავი ა. ᲮᲝᲪᲐᲜᲘᲐᲜᲘ და სხვები.

ჯაფარიძელებმა და შაუმიანელებმა აქტივის კრებას გააცნეს თავიანთი ვალდებულებანი და გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ქართველ და სომეხ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება მათ დაეხმარებათ ზოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

სურათზე: შაუმიანელთა ვენახებში მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე საუბრობენ სტუმრებსა და მასპინძლები. (მარცხნიდან) ჯაფარიძის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ტოკლიკიშვილი, შაუმიანის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი ს. ისაჯანიანი, ჯაფარიძის კოლმეურნეობის ფერმის გამგე დ. ბოსტოღანაშვილი, შაუმიანელთა თავმჯდომარე ა. მელქუმიანი, ამავე კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ნერსესიანი, ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი, ამავე კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი შ. ლეკაშვილი.

ფოტო რ. გევორქიანისა.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ

# ვისწავლოთ, რომ უკეთ ვუხელმძღვანელოთ!

## თელავის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირზე

**პირველადი** ორგანიზაცია პარტიის საფუძველია. სწორედ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში პრაქტიკულად წყდება ჩვენი მდიდარი ცხოვრების საინტერესო პრობლემები. ისინი სისტემატურად ავითარებენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, ეწევიან ნაყოფიერ მუშაობას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, მომავლის ადამიანის აღსაზრდელად, კომუნისტური ურთიერთობის განსამტკიცებლად.

ამიტომაც ჩვენი პარტია მუდამ ზრუნავს თავისი პირველადი ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც აღადგინეს პარტიული ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნის მიხედვით აგების ლენინური პრინციპი.

ახლა თვითეული პარტიული კომიტეტი უფრო მეტი მონდომებით, მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარებას. ამაში ნათლად ვრწმუნდებით ჩვენი რესპუბლიკის მაგალითებზე.

მაგრამ პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში არის სიძნელეები, გადაუჭრელი საკითხები, რომელთა მოგვარება მოითხოვს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სტილისა და მეთოდების გამდიდრებას, მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის დადებითი გამოცდილების გავრცელებას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა **თელავის** რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, რომელიც **პარტიის** რაიკომმა და გაზეთ **„კომუნისტის“** რედაქციამ ამ დღეებში მოიწვიეს.

თათბირზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი **ალ. ვარდოშვილი.**

**მოხსენების ირგვლივ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მონაწილეობა მიიღეს: ნაფარეულისა და კისისხევის საბჭოთა მეურნეობების, აკურის, გუშეტის, სანიორის, ვარდიუშვილის კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციათა ბიუროების მდივნებმა ლ. ფოთოლაშვილმა, ლ. ველიაშვილმა, დ. გოჩიაშვილმა, ა. გომურაშვილმა, მ. თუშიშვილმა, რ. ქამქაძემ, ნ. ბახსოლიანმა და ჯულაანის კოლმეურნეობების პარტორგანიზაციათა ბიუროების მდივნების მოადგილეებმა ნ. ბახსოლიანმა და თ. ქოზაევმა. მათ ილაპარაკეს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკუთარ გამოცდილებებზე, გამოთქვეს ბევრი საყურადღებო წინადადება, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს სოფლის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.**

**ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ თათბირის ანგარიშს.**

## პარტიული მუშაობა ხელოვნებაა

### ალ. ვარდოშვილი,

**საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველი მდივანი**

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდ ღონისძიებებს, რომლებიც ამ პლენუმმა მოიწონა, ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი პარტიამ და ხალხმა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რომლებზეც განხილულ იქნა ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები, დიდი მსჯელობა გაიმართა. კომუნისტებმა საქმიანი ანალიზი გაუკეთეს მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ მდგომარეობას, სწორად შეაფასეს ყოველი კონკრეტული ფაქტი და შეიმუშავეს პრაქტიკული ღონისძიებანი პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესად განხორციელებისათვის.

პარტიულ ორგანიზაციებს სრულყოფილად, ნაყოფიერად რომ შეესრულებინათ დასახული ღონისძიებანი, რაიკომმა პარტიული ორგანიზაციების მდივნების ორდღიანი სემინარი მოაწყო. „მართალი სიტყვის ძალა“, „სოციალისტური შეჯიბრება წარმატებებს ამრავლებს“, „იგროღონისძიებების ზუსტად დაცვა სიუხვის წყაროა“, „მტკიცე დისციპლინა და შრომის მაღალი ორგანიზაცია მთავარი საზრუნავია“, „სპეციალისტი გადამწყვეტი ძალაა“, „მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების და მეცნიერების მიღწევების დანერგვა ყოველდღიური საზრუნავია“ — აი თემები, რომლებზეც აქ გვქონდა მსჯელობა.

ცნობილია, რომ ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტილებაც კი მხოლოდ მაშინ იძლევა საჭირო ეფექტს, როცა მას ფართო მასებს გავაცნობთ. სწორედ აქედან დაიწყეს მუშაობა პარტიულმა ორგანიზაციებმა. რვაასზე მეტი აგიტატორი, 221 პროპაგანდისტი და ლექტორი კვლავაც ეწევა მოსახლეობაში იმ ღონისძიებათა არსის ახსნა-განმარტებას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს სოფლის მეურნეობის დარგში.

და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობაში მთავარი ხომ სწორედ ის არის, დაარწმუნო ადამიანები მიზნის სიცხადეში, დარაზმო ისინი ამ მიზნის მისაღწევად.

ისეთი პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც კარგად ესმით ეს ბეჭმარიტება და უნარიც შესწევთ სწორედ ასე იმუშაონ, ჩვენს რაიონშიც არიან. მაგრამ ამ ორგანიზაციებში ეს ჯერ ხომ არ გაჩნია ადამიანებთან მუშაობის ხელოვნება. იგი თანდათანობით შეეძინეს, ისწავლეს სხვა მოწინავე პარტიული ორგანიზაციებისაგან. **ამიტომ საჭიროა შევისწავლოთ, გავავრცელოთ როგორც ჩვენი რაიონის, ისე სხვა რაიონების პარტორგანიზაციათა დადებითი გამოცდილება.**

აი ზოგიერთი მაგალითი წლეულდელი მუშაობიდან, რაც აღასტურებს იმას, თუ როგორი შედეგი მოსდევს კომუნისტთა მონდომებას, ორგანიზატორული მუშაობის ჩვენების დაუფლებას.

აკურის კოლმეურნეობა თელავის რაიონში თითქმის ყველაზე ძლიერი იყო. მაგრამ უკანასკნელ წლებში აქ შრომის დისციპლინა შესუსტდა, შრომის ორგანიზაცია მოიშალა. კოლმეურნეობის საქმე უკან-უკან მიდიოდა. პარტიულმა ორგანიზაციამ (ბიუროს მდივანი დ. გოჩიაშვილი) ცოტა როდი იღონა. მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ბევრი რამ ნათელი გახადა. და აი, როცა პლენუმის შედეგები განიხილეს კრებაზე, ისეთი დადგენილება მიიღეს, რომლის შესრულებაც აუცილებლად შეუწყობდა ხელს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, დისციპლინის განმტკიცებას. დადგენილება მეტად საქმიანი იყო. ყველა აქტივისტ-კომუნისტს კონკრეტული დავალება მიეცა.

აგიტატორები ნ. ზუმბაძე, თ. მარკოზაშვილი, ს. ქევხიშვილი თუ სხვები თავიანთ საუბრებში ნაკლს რომ აღნიშნავენ, მეორე დღესვე იწყებენ მისი გამოსწორებისათვის ბრძოლას. აგიტპუნქტში, რომელიც მოწყობილია ვენახების ცენტრში, ყოველდღიურად გამოდის საველე ფურცელი „ელვა“. იგი აქედს წარჩინებულო, სუსხაეს იმათ, ვინც მიღებებულად. ზლაზვნით მუშაობს. მსუსხავი სტრიქონები მიუძღვნეს ლ. და მ. ქევხიშვილებს, ნ. პარწიანაშვილს, თ. ბაზიერაშვილს და სხვებს, რომლებიც იშვიათად ესტუმრებიან ხოლმე ზვრებს, ველ-მინდვრებს.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად აჯამებს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას და საჯაროდ გამოაქვს შედეგები. განაზოგადებს დაწინაურებულთა გამოცდილებას, ეხმარება ჩამორჩენილებს.

პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის შედეგები აკურაში სასიხარულოა. ვენახებში, სამას ჰექტარს რომ აღემატება, ყოველდღიურად ოთხასამდე კოლმეურნე მუშაობს. ნიადაგი შავფხვიერ მდგომარეობაშია, მწვანე ოპერაციები დროულად სრულდება. შაბიამნის ხსნარითა და გოგირდით ვაზს ოთხჯერ უმკურნალეს. აკურელებმა წელს სახელმწიფოს თორმეტი ათას ექვსასი ცენტნერი ყურძენი უნდა მიჰყიდონ. ეს არის გეგმა, ფაქტიურად ცამეტი ათასსაც არ დასჯერდებიან.

ვარდისუბნის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (ბიუროს მდივანი რ. ქამქაძე) კრებაზე განიხილა საკითხი „კოლმეურნეობაში მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვის შესახებ“. კომუნისტებმა ბევრი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს. დაისახა ღონისძიებანი, პარტიული ორგანიზაცია დროდადრო ამოწმებს მათს შესრულებას. კოლმეურნეობამ 356 ჰექტარი ხორბლის ნათესი ნავოთბური ზრდის სტიმულატორით დაამუშავა. წინანდებურად ნათესებში სარეველები აღარ ყვავის, მთელ ფართობზე ქიმიური მარგვლა ჩაატარეს. ამ საქმეში ბევრმა იმუშავა კარგად. მაგალითის მიმცემი კომუნისტი ი. მარგალიტაშვილი იყო.

წინა წლებში ვარდისუბნის ვენახებს ტკიპი აზიანებდა. მას ვერც შაბიამნის ხსნარი შველოდა და ვერც გოგირდი. წელს ვენახები ანტრაკნოზით შეწამლეს. ტკიპა მოისპო. მოაწყეს ვაზის ფესვგარეშე გამოკვება ზრდის სტიმულატორით. წელს ვენახებში პირველად გამოიყენეს აგრეთვე „კუპროტოქსი“. მეცხიერების ამ მიღწევათა დანერგვის მოთავენი არიან კომუნისტი ბრიგადირები შ. სუმბაძე, ს. ქურციკაშვილი, ა. ჯანიაშვილი, გ. კოდიაშვილი.

ახლის, პროგრესულის დანერგვამ კარგი შედეგი გამოიღო. ვარდისუბნის კოლმეურნეობაში უყრძნისა და მარცვლეული ძლიერების მოაკელს კარგი პირი უჩანს.

რაიონში გამართულ სხდომებსა თუ თათბირებზე ყურადღებიანი კოლმეურნეობის შესახებ, ყოველთვის საყვედურს გამოსთქვამდნენ. რატომ? ვენახების ნაწილი დაყარმრდა, ზოგან ეკალ-ბარდი გამრავლდა. პარტიულმა ორგანიზაციამ, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგებსა და ყურადღებიანურ ამოცანებზე მსჯელობდა, საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა ჩამორჩენის მიზეზებს.

აქ პირველ რიგში კადრების განმტკიცებაზე იზრუნეს. პარტიული ორგანიზაციის წინადადებით კოლმეურნეობის გამგეობამ გაგზავნა მუშაკები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და უნარი იმუშაონ ადამიანებთან.

პარტიულმა ორგანიზაციამ გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტების გაგზავნით როდი დაამთავრა . საქმე. დროდადრო კრებებზე ისმენს თვითეულის ანგარიშს, თუ როგორ უძღვება მინდობილ უბანს. კომუნისტებმა ნ. ბესაშვილმა, ზ. კირვალიძემ და სხვებმა თავიანთ ბრიგადებში შრომის დისციპლინა განამტკიცეს. უქნარები სწორ გზაზე დაყენეს.

მსჯელობა, კამათი, დადგენილება და საქმეც ამით მთავრდებოდა. მისი შესრულების შემოწმება აღარავის ახსოვდა. ახლა ასე აღარ ხდება. წინა კრებაზე მიღებული დადგენილების შესრულების საკითხს მომდევნო კრებაზე განიხილავენ. თუ ვინმემ დაკალება არ შეასრულა, აწითლებენ, კიცხავენ. ამან კომუნისტების პასუხისმგებლობა აამაღლა.

გამოცდილება გვასწავლის: რაც უფრო მაღალია მუშაკთა იდეური ღონე და თეორიული მომზადება, მით უფრო კვალიფიციურია მათი ხელმძღვანელობა, მით უფრო ნაყოფიერია პრაქტიკული საქმიანობა. კურდღელეთის პარტიული ორგანიზაცია ამ დარგშიც ნაყოფიერად მუშაობს. ყველა კომუნისტი ჩაბმული იყო პოლიტსკოლასა და თეორიულ სემინარში. ხშირად მართავენ თეორიულ კონფერენციებს, სადაც კომუნისტები ღრმა ცოდნას ამჟღავნებენ.

ა. ვარდოშვილი — ლ. ფოთოლაშვილი — დ. გოჩიაშვილი — მ. თუშიშვილი — რ. ქამქაძე — თ. ქოზაევი — ნ. ბახსოლიანი — ლ. ველიაშვილი — ა. გომურაშვილი

მეცადინეობაზე კომუნისტებმა მოითხოვეს მომავალი სასწავლო წლიდან ისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები.

პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის ახლებურად დაყენებამ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ბევრი საკეთე შეშება.

ეს კარგია, მაგრამ ჯერ კიდევ ეანთის, ქვემო ხოდაშინის, ფშავლის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეწევიან პოლიტიკურ მუშაობას, სჯერდებიან პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებას და მხედველობიდან რჩებათ, რომ მთავარია ორგანიზატორული მუშაობა.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სისტემა სამეურნეო საქმიანობაზე უარყოფითად მოქმედებს. ქეციმ ხოდაშინის კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა ერთი ნაწილი თავს არიდებს სამუშაოს. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომ სამუშაოები სამარცხვინოდ ჩამორჩა. ზვრებს დამუშავება აკლია. ახალგაზრდა ვენახები ბალახმა დაფარა.

პარტიული ორგანიზაციების მდივნები სემინარებში, ერთწლიან სკოლაში იღებენ ცოდნას, ეუფლებიან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, იგი საკმარისი არ არის. აუცილებელია მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის გაცნობა, მათი გამოცდილების დანერგვა.

ამა თუ იმ რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები ხშირად მიდიან, როგორც ჩვენი, ისე მოგვე რესპუბლიკების მოწინავე რაიონების მუშაობის შესასწავლად. იქ ეცნობიან ყოველივე ახალს, პოგრესულს და ნერგავენ თავიანთ მუშაობაში. ეს მოსაწონია, მაგრამ რატომ ასეთი არ ვიქცევით ჩვენ პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები? ეფექტობთ, სასარგებლო იქნებოდა, რომ **გავცნობოდით იმ პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, სადაც მაღალ დონეზეა დაყენებული პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა. ვთხოვთ გაზეთ „კომუნისტს“ თავის ფურცლებზე დააყენოს ეს საკითხი.**

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან ვალში არიან გამომცემლობების მუშაკებიც. პარტიული მუშაობის საკითხებზე ინვიანად თუ შეხვდებით ქართულ ენაზე გამოცემულ ბროშურას. რამდენიმე წლის წინათ გამოვიდა დომრაჩევისა და შიტარევის ბროშურა „საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია“. მის შემდეგ როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ბევრი რამ შეიცვალა. ნუთუ არ შეიძლება, რომ ასეთი და სხვა სახის ბროშურები გამოიცეს? **პარტიულ მუშაობაში დადებითს გამოცდილებას უარო ფართო გავრცელება სჭირდება.**

## ახალი მსარდაჭერას პოულობს

### ნ. ბახსოლიანი,

**კოსდოლის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის მოადგილე**

**პარტიული** კრება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებებზე მსჯელობდა... მოკამათეებმა ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების გასადიდებლად ბევრი სასარგებლო წინადადება წამოაყენეს. კომუნისტ ზოტეენიკოსს მერაბ შაულაძეს სიტყვა არ უთხოვია. წყნარად იჯდა და სხვების ნათქვამს ბლოკნოტში იწერდა. კრება რომ დამთავრდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დაიმარტოხელა და უთხრა:

— ზოგიერთი რამ მეც მიდოდა მეთქვა, მაგრამ ეფერობდი, ვაი თუ არ მოიწონონ, შემარცხვინონ-მეთქი.

მერაბმა უბის წიგნაკი ამოიღო და ანგარიში დაიწყო. ყოველწლიურად ათობით ტონა ყველის დამზადება გეახლება. ყველის დედის შეძენაზე ასობით მანეთი გვქირდება. ზოგჯერ არც იშოვნება. ყველის დედა ხბოს კუჭის წვნისაგან მზადდება, მაგრამ რამდენჯერაც იგი დაგვჭირდება, ხბოს დაკვლა არ გამოგვადგება. ფერმას ხიანი ძოუვა. მინდა გაგიმხელოთ, რომ ხბოს კუჭიდან წვნის ამოღებას, პიროტყვის დაუკლავად, ოღონ ოპერაციით მივაღწიე. ოპერაცია ხბოს ხრდაზე ცუდად აო მოქმედებს.

შაყლაძის ინიციატივა ყველამ მოიწონა. ახლა კონდოლში ყველის დედის დასამზადებლად ხბოები აღარ იკლვნება.

ხოროტეენიოსი შაულაძე ორმოგზსა და ტრანშეებში სიმინდის სილოსში შარდოვანის შერევის სარგებლობაში კარგა ხანია დარწმუნდა, მაგრამ სხვადასხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების დახმარებით სილოსში შარდოვანას შერევის ახალი მეთოდი შეიმუშავა.

პარტიულმა ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა შაულაძის ინიციატივას და კოლმეურნეობის გამგეობას ურჩია სასილოსედ დათესილი სიმინდის მთელ ფართობზე შეტანოს შარდოვანა.

ახლის, პროგრესულის დანერგვასთან ერთად პარტიული ორგანიზაცია მტკიცე კონტროლს ახორციელებს საკოლმეურნეო საზეიმოების დროულად მზრუველობასა და ხარისხზე.

საუბრებსა და ლექციათ-მოხსენებებში, რომლებიც ხშირად ეწყობა, შრომის დისციპლინის საკითხს დიდი ყურადღება ექცეა. ამ მხრივ ბევრს აკეთებს კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთი „კოლმეურნის ხმაც“. აქებს იმათ, ვინც დროულად და ხარისხიანად ასრულებს სამუშაოს, ხოლო მოურიდებლად აკრიტიკებს ყველას, ვინც საკოლმეურნეო შრომას გაურბის. როცა ყველაფერი ეს შედეგს არ იძლევა, მაშინ კოლმეურნეობის გამგეობა დისციპლინარულ ღონისძიებებს მიმართავს. მ. და თ. წაწალაშვილები, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, სამუშაოზე არ გამოვიდნენ. კოლმეურნეობის გამგეობამ ისინი ატარელიდან გარიცხა და საკარმიდამო ნაკვეთები ჩამოართვა.

ეს მხოლოდ ზოგიერთი ღონისძიებაა, რომლებიც პარტიულმა ორგანიზაციამ, კომუნისტებმა განახორციელეს. მაგრამ, ღასამალავი როდია, რომ ზოგჯერ ბევრი მტკივნეული საკითხი გადაუჭრელი გვრჩება, ბევრ ახალს ვერ ეუფერთ, რადგან ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, მათ შორის პარტბიუროს წევრებიც ვერ გადაეჩვევნენ შტაბპასა და ფორმალიზმს მუშაობაში. იქნებ საჭიროა, რომ პარტიის რაიკომმა მეტი ყურადღება დაუთმოს სოფლის პარტიული აქტივისტების მიერ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობის ჩვეევების გამომუშავებას.

მართალია, ამ მხრივ ცოტა დახმარებას როდი გვიწევს რაიკომთან შექმნილი პარტორგანიზაციების მდივნების ერთწლიანი სკოლა, მაგრამ მარტო ლექციათ-მოხსენებები საქმეს როდი შველის. ჩვენი სურვილია **ხშირად იმართებოდეს პრაქტიკული მეცადინეობაც პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის საკითხებზე.**

## კომუნისტი სანიმუშო უნდა იყოს

### რ. ქამქაძე,

**ვარდისუბნის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი**

— **„ვენახებს** არ უვლიან, ვაზი ჭრაქმა დააზიანა, ნიადაგი ბალახმა დაფარა. ვერც სიმინდი მიიღეს უხვად. მეცხოველეებმაც მოიკოჭლეს, კოლმეურნეთა შორის ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა“ — ასე ამბობდნენ და წერდნენ შარშან და შარშანწინ ჩვენი კოლმეურნეობის შესახებ. და ეს სიმართლეს მოკლებული არ იყო. უმოძრეობამან დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებრივ დოვლათს. წელს ასე აღარ იქნება. არ იქნება იმიტომ, რომ კომუნისტები წინა ხაზზე დადგნენ, ყველა კარგი საქმის სათავეში გახდა.

ბრიგადები, რომლებსაც სათავეში კომუნისტები შ. სუმბაძე, ს. ქურციკაშვილი, ა. ჯანიაშვილი ჩაუდგნენ, ვენახებს სახიმუშოდ უვლიან.

კომეენიტაბეა ვალერიან ბახბახაშვილმა და სიმონ მარგალიტაშვილმა ბევრი რამ გააკეთეს მეძროხეობის ფერმაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პირველ რიგში პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფაზე იზრუნეს. შრომატევად სამუშაოებს მექანიზმები ასრულებენ. პირუტყვის მოვლა-პატრონობა გაუმჯობესდა. დაუზარელმა შრომამ სასიხარულო საყოფი გამოიღო. მიმდინარე წლის ხუთ თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საშუალოდ ერთი სიფურაე ძროხის წველადობა 277 კილოგრამით გაიზარდა.

კიდევ უკეთესი მაჩვენებლები აქვთ ცალკეულ მეცხოველეებს.

მაგრამ იმის თქმა, რომ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე იყოს, შეცდომა იქნებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენს სოფელში, ალბათ ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა სოფელში, ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომლებიც შრომის ავანგარდში არ დგანან, კომუნისტის სახელს აბუჩეენენ. პარტიული კრება კომუნისტის აღზრდის სკოლაა და იგი უნარიანად უნდა გამოვიყენოთ. საამისოდ ლექციებიც, ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრებიც დადებითს შედეგს იძლევა. რა დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ჩვენს გაზეთებს, თუ ისინი თავიანთ ფურცლებზე სისტემატურად გააშუქებენ საკითხებს: კომუნისტის მორალური სახე; კომუნისტი — მეგობარი და მრჩეველი; კომუნისტის ჰორიზონტის შესახებ და სხვ.

განსაკუთრებით ვალში არიან ქართველი მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ჯერ კიდევ სრულად ვერ ასახავენ კომუნისტების ცხოვრებას, მათს თავდადებას, შრომასა და ბრძოლას, რომელიც მაგალითი იქნება მრავალი ათასი კომუნისტისათვის.

## სოციალისტური შეჯიბრების სათავეში

### ლ. ფოთოლაშვილი,

**ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანი**

**შარშან,** წლის დასაწყისში აგროუბნებმა, ბრიგადებმა, ცალკეულმა მუშებმა ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. გაფორმდა ხელშეკრულებანი და საქმეც ამით დამთავრდა. წელიწადი გავიდა, მაგრამ ნაკლარ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება არავის გახსენებია.

პარტიულმა ორგანიზაციამ წელს ახლებურად წარმართა საქმე. შეჯიბრების დაწყებამდე აგროუბნებსა და ბრიგადებში საუბრები გაიმართა. „სოციალისტური შეჯიბრება წინსვლის ნაცადი მეთოდია“, „ვალდებულებას შესრულება უნდა“, „გეგმა კანონია“, ამ და სხვა თემებზე აგიტატორებმა საუბრები მოაწყეს.

გაჩაღდა შეჯიბრება. უბანს უბანს შეეჯიბრა, ბრიგადა — ბრიგადას, მუშა — მუშას. პირველი კვარტალი რომ დამთავრდა, ეკონომ ვენახებში ზამთრის სამუშაოების შედეგები შეაჯამა. მოწინავეებმა გარდამავალი დროშა, ქების სიგელები, დირექციისა და პარტიული ბიუროს მადლობა დიპლომახურეს. მათ შორის იყვნენ კომუნისტები ე. ხუციშვილი, თ. მოსიაშვილი, ვ. სტამბოლიანი, ფ. ხუციშვილი, ა. ბანდეროვი.

შეჯიბრების ეკონომ ამოწმებს ცალკეული მექანიზატორების დღიური მუშაობის შედეგებს, და მეორე დილით საველე ფურცლები მთელ მეურნეობას აცნობენ, თუ ვინ დაწინაურდა და ვინ ჩამორჩა.

პარტიული ორგანიზაციის კრებამ ახლახან სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა განიხილა. კომუნისტებმა გაგვაკრიტიკეს. მათ თქვეს, რომ პარტიული ბიურო მოითხოვს ყველა პირნათლად ასრულებდეს ვალდებულებებს. ეს კარგია, მაგრამ ის ვერ არის მოსაწონი, რომ ბიუროო სათანადოდ არ ზრუნავს ხელისშემშლელი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

რამდენიმე სიტყვა გაზეთების შესახებ. რედაქციების მუშაკები ხშირად მოდიან ჩვენთან. ამოწმებენ პარტიულ მუშაობას და ბევრ რამეზე გვისაყვედურებენ. მაგრამ მარტო ეს როდი დახმარება, გაზეთების ფურცლებზე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაშუქების დროს **განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მათი გამოცდილების გაზიარებას.** ეს ბევრს დაგვეხმარება.

## ყურადღება ადამიანს!

### დ. გოჩიაშვილი,

**აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ პარტბიუროს მდივანი**

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა მიგვითითა, რომ ყოველდღიური ზრუნვა ადამიანებისათვის, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის უნდა იყოს მთავარი და განმსაზღვრელი პარტიული ორგანიზაციების მთელ მოღვაწეობაში.

პარტიის ამ მითითების შესასრულებლად ჩვენი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ღონისძიებებს ახორციელებს. ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნებული კულტურის სახლში კოლმეურნეები ნახულობენ კინოსურათებს, სპექტაკლებს, ისმენენ კონცერტებს, ლექციათ-მოხსენებებს. ბიბლიოთეკაში კითხულობენ ეროვალგაზეთებს, კოლექტიურად ისმენენ რადიოგადაცემებს.

აუცილებს სურსათისა და სამრეწველო საქონლის შესაძენად შორს აღარ უხდებათ წასვლა. სოფლის ცენტრში ახლახან აგებულ მაღაზიაში ყოველდღიურად დიდძალი საქონელი იყიდება. პარტიული ორგანიზაცია კოოპერატორებისაგან მოითხოვს უხვად მოამარაგონ სოფელი ფართო ასორტიმენტის საქონლით, არ დაუშვან მომხმარებელთა მოტყუება წონა-ზომაში.

საავადმყოფოში, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აშენდა, მკურნალობის კარგი პირობებია შექმნილი. ექიმები მართავენ საუბრებს, ლექციათ-მოხსენებებს ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხზე. სოფელში ხშირად ეწყობა სანიტარული დღეები.

საყოფაცხოვრებო ობიექტები: აბანო, საპარიკმახერო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები ცუდად მუშაობდნენ. კოლმეურნეებმა ეს საკითხი პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენეს. შეეამოწმეთ და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ქმედითი ღონისძიებანი განვახორციელეთ. ახლა სამდურავი აღარავის ეთქმის. მდგომარეობა გამოსწორდა.

საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებამ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის პარტორგანიზაციას, კოლმეურნეთა შრომითის საქმიანობაზე დადებითი გავლენა მოახდინა.

საკოლმეურნეო საქმიანობაში ყველა კოლმეურნე ჩაება. შრომის ნაყოფიერება ამაღლდა. ამან წარმატებები გაამრავლა. ვენახები, რომელიც კოლმეურნეობის შემოსავლის ოთხმოც პროცენტს იძლევა, დამუშავებული იქნა უნაკლოდ. წინასწარი ვარაუდით ჰექტარზე საშუალოდ ოთხმოცი ცენტნერი ყურძენი მოვა. გეგმა კი სამოცდაათ ცენტნერზე მეტს არ ითვალისწინებს. კარგი პირი უჩანს ველ-მინდვრების მოსავალსაც. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება შარშანდელთან შედარებით ოცდაათი პროცენტით გადიდდა.

მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელი გვრჩება. ეს იმიტომ, რომ ორგანიზატორული მუშაობის ჩვევებს სათანადოდ არა ვართ დაუფლებული. ჩვენი აზრით კარგი იქნება, თუ **„კომუნისტი“ თავის ფურცლებზე მოაწყობს პარტიული ორგანიზაციების მდივნების დაუსწრებელ კონფერენციას, სადაც გაშუქდება მათი მუშაობის საჭირბოროტო საკითხები.**

## თელავის რაიონის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები აყენებენ საკითხს: ეფექტურად ავაშენოთ ... დაუსწრებელი სწავლება, პარტიული მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება

## კომუნისტური სახელის კოლმეურნეობისათვის

### მ. თუშიშვილი,

**სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ პარტბიუროს მდივანი**

**ბევრი** იწერება კომუნისტურ შრომაზე. ქარხნებს, ფაბრიკებს, რომლებიც გეგმებს გადამეტებით ასრულებენ, კომუნისტური შრომის საწარმოს სახელწოდებას ანიჭებენ. ჩვენც ხომ კარგად ვმუშაობთ, რატომ არ გვანიჭებენ ამ დიდებულ წოდებას? — ხშირად უთქვამთ ჩემთვის კომუნისტებს.

და აი ეს საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგნად გაეხადეთ. კრებამ დაადგინა, რომ პარტიულ ორგანიზაციას, მთელ კოლმეურნეობას კომუნისტური შრომის სახელისათვის ებრძოლა.

სოფელში თვალსაჩინო ადგილებში გამოჩნდა თეთრით წითელ მატერიაზე დაწერილი მოწოდებანი: „ებრძოლოთ კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის სახელისათვის!“

ბრიგადებსა და კოლმეურნეებს შორის სოციალისტური შეჯიბრება გაჩაღდა. მას სათავეში კომუნისტები ვ. გოგინაშვილი, გ. ჯანდარიშვილი, ა. თეკაბოური და სხვები ჩაუდგნენ. ვალდებულებათა შესრულებისათვის თავდადებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

— მეცხოველეთა წამგებიანი დარგია.

— პირუტყვი ზარალის მეტს არაფერს გვაძლევს.

ასე ამბობდნენ სანიორელები შარშან თუ მის წინ. მაგრამ წელს ასე აღარ იტყვიან. არ იტყვიან იმიტომ, რომ პირუტყვის მოვლა-პატრონობა გაუმჯობესებულ პროდუქტიულობა ამაღლდა. მიმდინარე წლის ხუთ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 310 ცენტნერით მეტი რძე იქნა მოწველილი.

პარტიული ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ყველა კოლმეურნე ბედნიერია. მინდა დავაყენო ერთი წინადადება. კოლმეურნეობებში შექმნილი პარტიული ჯგუფები სათანადო მეშაობას ეწევიან, მაგრამ მათ დახმარება სჭირდებათ. კარგი იქნება, თუ **„კომუნისტი“ სისტემატურად დაბეჭდავს მასალებს პარტჯგუფორგების დასახმარებლად.** ურიგო არ იქნება ამ **საკითხზე სათანადო ბროშურის გამოცემაც.**

## ბიუროს წევრებმაც უნდა ისწავლონ

### ა. გომურაშვილი,

**ბუშეტის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი**

**ჩვენი** კოლმეურნეობა წლითიწლობით ჩამორჩებოდა. ამის უმთავრესი მიზეზი შრომის დაბალი დისციპლინა და შრომის სუსტი ორგანიზაცია იყო. ახალგაჩეულმა პარტბიუროომ ჩამორჩენის მიზეზებს ღრმა ანალიზი გაუკეთა, მათ აღმოსაფხვრ

# საერთაშორისო ცხოვრება

## ამერიკის მოქმედება აშკარა აგრესიაა

**რუმინეთი.** „ვიეტნამის, აგრეთვე დომინგოს რესპუბლიკის ამბები ცხადყოფენ, რომ ამერიკის იმპერიალიზმი გაგაგრძობს ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უხეშ დარღვევას", — განაცხადა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრებაზე.

ორატორმა აღნიშნა, რომ ამერიკის ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა აშკარა აგრესიის აქტებია. საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, მოითხოვს სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი საზოგადოებრივი ძალების ერთობის განმტკიცებას, რომლებიც აქტიურად იბრძვიან იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

**მონღოლეთი.** მონღოლეთის წიფელი ჯერის საზოგადოებამ გამოაქვეყნა საპროტესტო განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის მხედრიონმა ჩაიდინა ახალი დანაშაული ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ — ბარბაროსულად დაბომბა კუონ-ლაპის სანატორიუმი ნგეანის პროვინციაში, რის შედეგად დაიხოცა და დაშავდა ასზე მეტი კაცი და გამოწვეულია დიდი მატერიალური ზარალი.

**ვენა.** ვენის პროფკავშირთა სახლში პროფკავშირული ერთობის ფრაქციის ინიციატივით გაიმართა საპროტესტო მიტინგი ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით არის გამოცხადებული პროტესტი ამერიკის იმპერიალისტთა დანაშაულებრივი ომის წინააღმდეგ ვიეტნამში და ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ დომინგოს რესპუბლიკაში.

**ინგლისი.** თემთა პალატაში შეტანილ რეზოლუციაში ლეიბორისტი უილიამ უორნი მოითხოვს, რომ ამერიკელებმა შეწყვიტონ ვიეტნამის დაბომბვა. იგი მოითხოვს, რომ ინგლისსა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა, რომ ინგლისმა და ერთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა არავითარი დახმარება არ გაუწიონ სამხრეთ ვიეტნამის ისეთ რეჟიმს, რომელსაც ხალხი არ უჭერს მხარს.

**ნორვეგია.** ყოველი ღონისძიებით უნდა ვეცადოთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან და საშუალება მისცენ ამ ქვეყანას გაერთიანდეს თავისუფალი არჩევნების საფუძველზე, განაცხადა ნორვეგიის ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მშვიდობისათვის მებრძოლმა პასტორმა რასმარ ფორბეგმა. დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, ხაზგასმით აღნიშნა მან, გადამწყვეტ როლს ასრულებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საერთო ნებელი ბრძოლაში ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის.

## ამერიკელ ქალთა დემონსტრაცია

ვაშინგტონი, 24 ივნისი. (საკდესი). ასობით ამერიკელი ქალი შეიკრიბა გუშინ თეთრი სახლის წინ, რათა მტკიცე პროტესტი განეცხადებინათ ამერიკის მთავრობის ავანტიურების წინააღმდეგ ვიეტნამში.

ამ საპროტესტო დემონსტრაციის ინიციატორებმა, „მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა" ორგანიზაციის წევრებმა გაავრცელეს განცხადება, რომელიც მოუწოდებს ამერიკელ დედებს „ხმა აღიმაღლონ, რაცა მათ შვილებს გზავნიან ვიეტნამში, რათა იქ ხოცონ სხვები და თვითონ არ დაიხოცონ".

## ინციდენტი საზღვარზე

ჯონს-ვილი, 23 ივნისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ალბოროკის მთავრობის კომუნიკე ქხმერისა და ტაილანდის საზღვარზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ 20 ივნისს შუადღისას ქხმერის სახალხო მილიციის პატრული ქხმერის ტერიტორიაზე წაწყდა შეიარაღებულ ტაილანდელთა ჯგუფს 23 კილომეტრზე ქალაქ ფოუმინვილის ჩრდილო-დასავლეთით (ეს კოგეის პროვინცია). ატყდა სროლა, რომელშიც ცოტა მოგვიანებით მონაწილეობა მიიღეს ქხმერმა მესაზღვრეებმა. სროლა საღამომდე გაგრძელდა, შემდეგ ტაილანდელებმა უკან დაიხიეს თავის ტერიტორიაზე.

## გულითადი შეხვედრა

**სოფია,** 24 ივნისი. (საკდესი). ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გუშინ ერთძახეთს შეხვდნენ ბულგარეთის კომპარტიის დელეგაცია ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტ. ჟივკოვის მეთაურობით და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის რ. ლეროუს მეთაურობით.

როგორც ბულგარეთის დელეგაციათა საგანგებო ინფორმაციიდან გავიგეთ, ტ. ჟივკოვმა და რ. ლეროუმ ერთმანეთს გაუზიარეს დაგროვილებითი ინფორმაცია თავიანთი პარტიების მუშაობის შესახებ და შეხედულებანი საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბირთვთან პრობლემებზე.

სატრეს დროს, რომელშიც გულახდილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, გამოიოქვა, რომ ორივე მხარე ერთი აზრისაა ყველა განხილულ საკითხზე.

## სასარგებლო შეთანხმება

**ბუქარესტი.** რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობათა მოლაპარაკების შედეგად ორ ხელი მოაწერეს შეთანხმების გადაუჭრელი ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ.

**როგორც აკერპრესის საგენტო იუწყება, შეთანხმების შედეგად ლიკვიდირებულია ყველა გადაუჭრელი ურთიერთფინანსური პრეტენზია. (საკდესი).**

## ჯოუ ენ-ლაი ალექსანდრიაში

**კაირო,** 24 ივნისი. (საკდესი). ალექსანდრიაში გრძელდება მოლაპარაკება პრეზიდენტ ნასერსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ჯოუ ენ-ლაის შორის, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. გუშინ ალექსანდრიაში გაიმართა მეხუთე სხდომა მას შემდეგ, რაც ჩინეთის პრემიერი სტუმრად არის არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. გუშინდელ მოლაპარაკებაში, გარდა ნასერისა, ეგიპტის მხრივ მონაწილეობდნენ ალეროეთ, ვიცე-პრეზიდენტი ზაქარია მოჰი ედ-დინი, პრემიერ-მინისტრი ალი საბრი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე რიფაატი და სხვები. ჯოუ ენ-ლაი დღეს დაათვალიერებს ქალაქ ალექსანდრიას.

## ნასერის გადაწყვეტილება

**კაირო,** 24 ივნისი. (საკდესი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა გაიუქმა დამატებითი ვიზიტი ალჟირში. ვიზიტი გათვალისწინებული იყო ალიისა და აფრიკის ქვეყნების ოფიციალურ დამთავრების შემდეგი პერიოდისათვის. ივლისის დამდეგს ალჟირში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ეროეთისა და ალჟირის პრეზიდენტები და ალჟირის სახელმწიფოთა მეთაურთა კონფერენციის წინ უნდა განიხილათ მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება არაბული სამყაროს პოლიტიკურ მდგომარეობას. ეს კონფერენცია ქალაქ ალსალანკაში (მაროკო) უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის სექტემბერში.

## ბუტეფლიკას ვიზიტი

**კაიროდან** ალჟირის დაბრუნდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბელ აზიზ ბუტეფლიკა, რომელიც ხანმოკლე მისიით იყო არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში. კაიროში ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა.

## ბ. ბერნალის მიმართვა

**ლონდონი,** 23 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა ჯონ ბერნალმა მოუწოდა მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციასა და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს გააორკეცონ მეცადინეობა, რათა ბოლო მოუღონ ვიეტნამის ომს მთელი ვიეტნამელი ხალხის კანონიერი უფლებების დაცვის საფუძველზე. ბერნალმა ხაზგასმით აღნიშნა: ვიეტნამელი ხალხი სამართლიანად მოითხოვს, რომ უზრუნველყონ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა შესრულება, ამერიკამ გაიყვანოს თავისი ჯარები და გააუქმოს ბაზები სამხრეთ ვიეტნამში ამ შეთანხმებათა შესაბამისად; ცნონ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლობითი ხასიათი; სამხრეთ ვიეტნამის ხალხს საშუალება მიეცეს თვითონვე გადაჭრას თავისი საშინაო პრობლემები უცხოეთის ჩაურევლად, მოითხოვს გაგრძელდეს მეცადინეობა ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით ავრეთვე გარედან ჩაურევლად.




**სამხრეთ** ვიეტნამის მოსახლეობამ სახალხო ომი გამოუცხადა მარიონეტ-მოლაპარაკეებსა და მათს იმპერიალისტ ბატონებს. მთელი ხალხი მხარს უჭერს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის რაზმების გმირულ ბრძოლას. სოფლების მცხოვრებნი — მამაკაცები, ქალები და ბავშვებიც კი — რითაც შეუძლიათ ეხმარებიან პარტიზანებს.

ამიტომაც არის, რომ სამხედრო წარუმატებლობათა გამო გამხეცებული მარიონეტული არმიის ჯარისკაცები სასტიკად უსწორდებიან მათ. სურათზე თქვენ ხედავთ საზარელ სცენას — ჯალათები აწამებენ სამხრეთვიეტნამელ გლეხს, რომელმაც თვალისასახვევად მათ არასწორი მიმართულება უჩვენა პატრიოტთა ადგილსამყოფელისაკენ. მას—უკვე მკვდარს — თავში წიხლს სცემს ჯალათი.

## ედგო



• ახალი ამბები
• ცნობები

# მალთაყვის სტუმრები

**მალთაყვა** შავიზღვისპირეთის ფართო საკურორტო-გამაჯანსაღებელი კილელის უახლესი შენამატი ფოთის მახლობლად.

ახლა მწვანეში ჩაფლულ ამ რაიონში, სადაც მუდამ იგრძნობა ზღვიდან და პალიასტომის ტბიდან მონაბერი ნიავის მაცოცხლებელი ძალა, ტურისტთათვის აგებულია სახლები, სასადილო, საბაზანო და სხვა სათავსები. პლაჟზე გამოყოფილია ცალკე ადგილი, სადაც ტურისტები ბანაობენ, ქვიშისა და მზის აბაზანებს იღებენ, კატარღებით დასეირნობენ ზღვაში და პალიასტომის ტბაზე. სისტემატურად ეწყობა ექსკურსიები ფოთისა და მისი მახლობელი რაიონების ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად.

მალთაყვის ტურბაზაში ამჟამად 120 ხარკოველი ტურისტი ისვენებს. ივნისის ბოლომდე ჩამოვლენ ტურისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და სხვა ქალაქებიდან.

მალთაყვის ჰაჯა განსაკუთრებით კარგად მოქმედებს გულით და სისხლის წნევით დაავადებულებზე. სპეციალისტ-კურორტოლოგთა დასკვნის საფუძველზე იგი ძირითადად მაინც საბავშვო კურორტად იქცევა და ტყე-პარკის ტერიტორიაზე აიგება მოზარდთა პანსიონატები.

კ. კოშმანიძე.

# საინტერესო შეკრება

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). სანე იმოდ იყო მორთული მარგანეცის ქალაქის „ცენტრალური“ სტადიონი, აქ ხუთი ათასზე მეტი კაცი მოვიდა. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც, წმეკამდელებიც და დიდი სამამული ომის ვეტერანებიც, ეს ჭიათურისა და საჩხერის წვეკამდელთა საზეიმო შეკრება იყო. მიწყნარდა მუსიკის ხმა.

შეკრებას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი ზ. პატარიძე. მოხსენებით თემაზე „ჩვენი თანამემამულენი სამხედრო სამსახურში“ გამოვიდა ჭიათურის გაერთიანებული საქალაქო სამხედრო კომისარი, პოდპოლკოვნიკი ვ. წერეთელი.

შეკრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმნენ თბილისის გარნიზონის მებრძოლები მ. გაფრინდაშვილი, ა. მასხარაშვილი, მ. მაღრაძე; საქართველოს ალკ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი ე. ბერიძე, კომკავშირის ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი ჯ. გურული. საჩხერელმა მოსწავლემ ც. მაჭარაშვილმა წაიკითხა წვეკამდელებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ მთავრობის ჯილდოები გადასცა იმ ვეტერანებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სამამულო ომში.

შეკრებაზე წაიკითხეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ა. სტეჩენკოს და პოლიტსამმართველოს უფროსის თ. სტეპჩენკოს მისალმება.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, სპორტული შეჯიბრებანი.

ეს მართლაც დაუვიწყარი შეკრება იყო.

# საირმე გვიხმობს

შენდება და ლამაზდება კურორტი საირმე. სულ მალე აქ საექსკურსიოციოდ გადაეცემა ოთხსართულიანი კომფორტაბელური პანსიონატი, რომელსაც „ცეკავშირი“ აგებს და რომელიც ერთდროულად 200 დამსვენებელს მოემსახურება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო ამბულატორიულ დამსვენებლებზე გასაქირავებლად აგებს კემპინგებს. სეზონის გახსნისათვის მზად იქნება 50 სახლი, თვითეულში 8 კაცი მოთავსდება. ახალ პანსიონატს აგებს აგრეთვე სატყეო და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო. (საკ. კორ.).

# დანტე ალიგიერის 700 წლისთავი

**დღეს,** 25 ივნისს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ლიტერატურული სექცია, **საბჭოთა კავშირ-იტალიის საზოგადოების საქართველოს განყოფილება, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი** აწყობენ დიდი იტალიელი პოეტის **დანტე ალიგიერის დაბადების 700 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.**

საღამოზე გამოვლენ ლიტერატურული სექციის პრეზიდენტი პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე, აკადემიკოსი კ. გამსახურდია, აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, პროფესორი გ. კაჩრილაძე, პროფესორი მ. კვესელავა.

საღამო გაიმართება ხელოვნების მუშაკთა სახლის საზაფხულო დარბაზში 20 საათზე (მაზარაძის ქ. № 8).

# მოკლედ

● **ქუთაისი.** (საკ. კორ.). სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის დოცენტ დავით წერეთლის ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი სურათები მხატვრის მიერ შექმნილია 50 წლის მანძილზე. აქ არის პეიზაჟები, საყოფაცხოვრებო და ყანრული სურათები, გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები.

სულ ექსპონირებულია ოთხასამდე ნაწარმოები.

● **ხაშურის** რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა საკონცერტო ბრიგადა, რომელიც მოსახურეობას უწევს სოფლის მშრომელებს მინდვრად. პროგრამაშია იუმორი, სეტჩები, მხატვრული კითხვა, სიმღერები.

**დ. ფარემუზოვი.**

● **სოფელ დარჩილის** (ზუგდიდის რაიონი) კულტურის სახლთან არსებული საესტრადო ბრიგადა, რომელსაც კ. კიკავა ხელმძღვანელობს, ხშირად მართავს გასვლითს კონცერტებს. ამას წინათ საესტრადო ბრიგადის წევრები ესტუმრნენ ჯვარში ენგურჰესის კაშხალის მშენებლებს და კონცერტი გამართეს.

მშენებლებმა მოისმინეს ქართული სიმღერები, ნახეს სკეტჩები, ფელეტონები, იუმორისტული სცენები.

**ბ. ალშიბაია.**





სურათზე: ტურისტები მდინარე ყოეკვარის ხეობაში.

ფოტო დ. ჩოხელისა.

# წმინდა საუნჯე

**შევინახოთ ჩვენი ენის „მზეკაბანი“ და „პირიმზე“**

ენა ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა ერისა. ეს საუნჯე ისეთი მარგალიტითა და ლალით არის სავსე, რომლის ბადალი არ არსებობს არსად. ენა დიდებაა ხალხისა, მისი დროშაა უკვდავებისა, ენა აძლევდა ძალას გადაეტანა ჟამთა სიავე; გონებამახვილის სიტყვით, მშობლიური სიტყვით შემოაბრუნებდი ამ ქვეყნისაკენ.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“

რაღაა ის ხალხი, რომელსაც მშობლიური ენა დაუკარგავს და აღარა აქვს?

ენა ადამიანისათვის უდიდესი სიხარულია. ენა აძლევს საშუალებას გამოთქვას ფიქრი და ნააზრევი. რა იქნებოდა ადამიანი, ეს საშუალება რომ ჰქონდეს დაკარგული! რამდენადაც ლამაზი და კარგია სიტყვა, იმდენად ნააზრევის გადმოცემაც მკაფიო და სახალისოა.

ჩვენმა ხალხმა თავისი სიცოცხლის მანძილზე მრავალი შესანიშნავი სიტყვა შექმნა. ყოველ მათგანს თვალისჩინებით უნდა გავუფრთხილდეთ. თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე მათგანმა ახალი ყოფის გამო თავისი ფუნქცია, თავისი პირველადი მნიშვნელობა დაკარგა, მას ახალი მნიშვნელობა უნდა ავუჩინოთ (თუნდაც არნადი — ბზის და მიწის შესახვეტი; დღეს ყანა ბზედ აღარ ილეწება, სამაგიეროდ ბულდოზერის წინა ნაწილი ხომ არნადის ფუნქციას ასრულებს!).

კარგი სიტყვა (და რომელი სიტყვა არ არის კარგი, მშვენიერ სიტყვას ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში რა გამოლევს?!) ყოველთვის დიდ ნატვრისთვალად შევლინებოდა. ქართველი კაცის გული კარგი სიტყვის დაუშრეტელი საბადოა, საბადო, რომელიც ყოველთვის მდიდრდება. ერთი სიტყვა მეორეს ბადებს, იღებ ამ ძვირფას მადას და არ ილევა იგი. მემადნის წერაქვი განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს ამ დიდი საქმისათვის, რომელსაც ხალხის ლექსიკა ეწოდება.

ჯერ ბევრი რამ არ ვიცით, იგი ხალხის გულშია დაბუდებული, შენახული; საჭიროა მისი ამოკრეფა, საყოველთაო სახმარად გახდომა.

სიხარულით აიკვსო გული, როდესაც რამდენიმე წლის წინათ ძველი სალაროდან „მზეკაბანი“ მოჰკვა სიტყვის მაძიებლის წერაქვს. „ყანას მზეკაბანმა გადაუარაო“, რა ლამაზი და პოეტური! და რამდენი ასეთი მზეკაბანია ხალხის გულში ჯერ მთვლემარე.

ამ რამდენიმე წლის წინათ სოფლის ზარაზე ბალღები მორბოდნენ ყივილ-ხივილით, შეეკიერე, „საით მიპქრით, ბიჭებო?“ — შეეკითხე. „სოფელი ბოლოზე ელტყოფლაპიას დაუწყია მუშაობა, იქ მივდივართ“.

ელტყოფლაპია ექსკავატორი აღმოჩნდა. ხალხი არ ჩერდება, ზღაპრის გმირმა ძველი სურნელება დაკარგა. მისი სახელი ნამდვილ ობიექტს მიეკუთვნა, სადაც იგი უკვე უფრო გამართლებულია.

„განმარტებითმა ლექსიკონმა“ თავი მოუყარა ყველა ამ სიტყვას, რომელიც „წერაქვის წვერს“ დღემდე მოხვდა. ფურცლავ ამ უზარმაზარ რეა ტომს და სიამაყით ივსები: რა მდიდრები ვყოფილვართ. ეს სიმდიდრე განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ერთად შეიკრიბა. რა შესანიშნავი მკვლევარნი გვყოლია, რა დიდი შრომა გაუწევიათ. ასე იცის ხალხის სიყვარულმა. მაგრამ, ალბათ, ეს ერთი მესამედიც არ არის იმ სიტყვებისა, რაც საქართველოში ქართული სიტყვა არსებობს. ეს სიტყვებია გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომლებიც ლექსიკონში არ არის შეტანილი. საქართველოში ოთხი ათასზე მეტი სოფელი, ქალაქი და დასახლებული პუნქტია, ამაზე მეტი ხეობა, ხევი, ღელე და მთა, ყოველი დიდი პუნქტის ირგვლივ აუარებელი მცირე კუთხეა, რომელსაც თავისი სახელი აქვია. ამას წინათ რამდენიმე სოფლის ირგვლივ ჩავიწერე მინდვრის, სარწყავი არხის, რუისა და სხვათა სახელწოდება. თითო სოფლის ირგვლივ 30-40 სახელწოდება მაინც იყო. მაშასადამე, სულ ცოტა 200-250 ათასი სახელწოდება მაინც გვაქვს.

მერე რა სიტყვებია, თვითეული სიტყვა თითო ბედაურად ღირებული. „მზეთამზე“, „პირიმზე“, „სანისლო“, „ტირიფონა“, „დუბიანი“, „კავთიხევი“, „ძეძუნარა“, „ლიახვი“ და სხვა და სხვა.

ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ ბევრი ეს გეოგრაფიული სიტყვა მაფიქრებს. საიდან, როგორ? რა უნდა შეა ქართლში ისეთი სახელწოდებას, როგორიც არის „ტირიფონა“, იგი ხომ ზანურია და ნიშნავს ტირიფიანს! „კავთისხევის“ სახელწოდება ჯერჯერობით ვერ აიხსნა. „კა“ ერთ-ერთ სვანურ დიალექტზე ქვას ნიშნავს. ხომ არ არის კათახევი-კავთიხევი (იქვეა ქვათახევი).

„ლიახვი“ — ლია ქვემომერულში სველი ადგილია, რომელზეც ზმენდა წყალი დგას, ლიც სვანურად წყალია. საქართველოს მრავალ კუთხეში, „ლიახვი მოვარდაო“ რომ იტყვიან, „წყალდიდობას“ უთანაბრებენ.

„ძეძუნარა“ ადგილია ქართლში ძეძვიანარიანი. ჯერ ერთი, როგორ კეთდება „ძეძუ“-თ „ძეძვი“ და გარდა ამისა, მე, როგორც ბუნებისმეტყველს, ეს სიტყვა მაინტერესებს გეობოტანიკური ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც. ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება შესანიშნავი და მკვიდრი გეობოტანიკური ტერმინია: თელიანი, მუხიანი, შქერიანი, დეკიანი და სხვანი. ზოგი ჩვენი ხალხიდან, გეოგრაფიულ სახელთა სალაროდან აღებული სახელწოდება გამოყენებულ იქნა გეობოტანიკურ ტერმინად და საერთაშორისო მნიშვნელობასაც კი პოულობს.

ახალი ყოფის გამო ბევრი სახელწოდება იკარგება, ფუნქციას კარგავს. პატარა ნაკვეთების ნაცვლად ახლა უზარმაზარი საკოლმეურნეო ნაკვეთია, რომელიც წარსულში ათეულ სახელწოდებას შეიცავდა, დღეს ერთი სახელით არის ცნობილი.

მაშ დაგვიანება არ იქნება!

და აი ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ეს უდიდესი საუნჯე შეგვრიბოთ, დავბეჭდოთ, განვმარტოთ.

მისასალმებელი იქნებოდა ყოველ სოფელში ჩამოყალიბდეს კომისია სკოლის მასწავლებლის, სოფლსაბჭოს თავმჯდომარის და სხვა დაინტერესებულ მუშაკთა შემადგენლობით, რომელიც ჩაწერს ყოველი ადგილის სახელწოდებას, მიუწერს ადგილობრივ განმარტებასა და გადმოგზავნოს დედაქალაქში. ამ საქმეს, იმედია, სათავეში ჩაუდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (ენის ინსტიტუტი, გეოგრაფიის ინსტიტუტი). განმარტებითი ლექსიკონის გამოცემით დიდი, გიგანტური, დევგმირული საქმე გაკეთდა. წინ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ამასაც დაძლევენ ჩვენი მეცნიერები.

**ნიკო კეცხოველი.**

აკადემიკოსი.

# ოქროს ქალღმერთის მერიდიანებზე

**იტალიის** ნაკრები გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი 22 წლის **მაცოლა** იყო გმირი საპასუხო შესარჩევი-მატჩისა მსოფლიოს პირველობაზე ფეხბურთში ფინეთის გუნდთან. შეხვედრა ჰელსინკში მოხდა. საბჭოთა არბიტრმა **ტ. ბახრამოვმა** აღნიშნა იტალიელთა გამარჯვება ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი გაიტანა **მაცოლამ.** იტალიის ნაკრებმა მოიგო პირველი შეხვედრაც — 6:1.

მერე კი, შესარჩევ ჯგუფში თორმეტთაგან ექვსი მატჩი გაიმართა. წინ არიან **იტალიისა** და **შოტლანდიის** გუნდები, რომლებმაც ექვსი შესაძლებლიდან ხუთ-ხუთი ქულა შეაგროვეს.

• • •

**ამას** წინათ ვენაში ავსტრიისა და უნგრეთის გუნდების შესარჩევ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე ერთადერთი ბურთი მასპინძლების კარში გაიტანა უნგრეთის ფეხბურთის ვეტერანმა 32 წლის **ფენვეშმა.** არაწაკლები წარმატება ხვდა ვეტერანს აგრეთვე ფინალურ მატჩში ბაზრობათა ქალაქების ბასზე „ფერენცვაროშისა“ და „იუვენტუსის“ გუნდებს შორის. შეხვედრა გაიმართა 23 ივნისს ტორინოში. ისევ მოიგეს უნგრელებმა და ისევ ერთადერთი ბურთი გაიტანა **ფენვეშმა.**

(საკვლევი).

# ოლიმპიადა

**ეროვნული ბიბლიოთეკა**

სურათზე: ტურისტები მდინარე ყოეკვარის ხეობაში.

ფოტო დ. ჩოხელისა.

# მაყურებელი ალტაცებულია

**თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს დამსახურებული ანსამბლის გასტროლები ბერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში**

**ახალგაზრდობის** მოსკოვისა და ვენის მსოფლიო ფესტივალების ლაურეატი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი ერთი თვით საგასტროლოდ მიწვეულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ანსამბლს ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ქარსელაძე და ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი გ. ზუბიაშვილი. ანსამბლი კონცერტებს მართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში.

ბერლინიდან მიღებულია ცნობა, რომ ანსამბლის პირველმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფესტივალის ორგანიზატორებმა ბერლინის ფესტივალის ლაურეატებად მართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში.

ბერლინიდან მიღებულია ცნობა, რომ ანსამბლის პირველმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფესტივალის ორგანიზატორებმა ბერლინის ფესტივალის ლაურეატებად მართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში.

ანსამბლის პირველმა კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფესტივალის ორგანიზატორებმა ბერლინის ფესტივალის ლაურეატებად მართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ქალაქებში.

# პროფკავშირული სპარტაკიადა

**საქართველოს** პროფკავშრული სპარტაკიადა ფინიშს უახლოვდება.

**დამთავრდა** მოკრივეთა პაექრობა. გუნდური მეტოქეობა ძირითადათ „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდებს შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვეს განთიადელებმა. ბურევესტნიკის მოკრივეები მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ.

პირად ასპარეზობაში პირველი ადგილები დაიკავეს: უმჩატეს წონაში — კ. ფარაოიანმა, მჩატე წონაში — ნ. ქიქავამ, ქვემსუბუქ წონაში — გ. ვარდანიანმა, მსუბუქ წონაში, — გ. ხორნაულიმ, პირველ ქვესაშუალო წონაში — ვ. ცერცვაძემ, მეორე ქვესაშუალო წონაში, ო. ზებულაშვილმა. პირველ საშუალო წონაში პირველობა არ გათამაშებულა. მეორე საშუალო წონაში გაიმარჯვა მ. მამამთავრიშვილმა, ქვემძიმე წონაში — გ. ელიზარაშვილმა, მძიმე წონაში — დ. ჩოგოვაძემ.

# ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲡᲚᲝᲨᲘ

**ფრენბურთელთა** საერთაშორისო ტურნირი ქალთა გუნდებისათვის, რომელიც დღეს იწყება თბილისში, ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში დიდი მოვლენაა. ამ ტურნირში გამოდის მსოფლიოსა და ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი იაპონიის ეროვნული ნაკრები.

ტურნირის მთავარი მაჯრები იაპონიისა და სსრ კავშირის ნაკრებთა შეხვედრები იქნება. ეს გუნდები მოსკოვშიც შეხვდნენ ერთმანეთს მსოფლიოს პირველობაზე და ტოკიოში ოლიმპიურ ასპარეზობაზე. ორივეგან წარმატება იაპონელებს ხვდათ.

შეძლებენ თუ არა საბჭოთა ფრენბურთელები რევანშის აღებას ამას მომავალი გვიჩვენებს.

ტურნირი 30 ივნისამდე გასტანს.

# ᲠᲝᲒᲝᲠ „ᲔᲤᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ“ ᲒᲐᲠᲘᲜᲩᲐᲡ

რიო-დე-ჟანეიროდან ევროპაში გამგზავრების წინ ბრაზილიის ნაკრების მარჯვენა გარემარბმა გარინჩამ, როგორც იქნა, მოგვარა თავისი ურთიერთობა კლუბ „ბოტაფოგოსთან“. ახალი ხელშეკრულებიც ძალით გარინჩა თვითეულ თამაშში ჰონორარს მიიღებს არა 75 დოლარს, როგორც აქამდე იყო მრავალი წლის მანძილზე, არამედ ექვსჯერ მეტს — 450 დოლარს.

ამავე დროს კლუბმა თანხმობა განაცხადა დაეხმარის გარინჩას „გაიტბერის“ დიდი ვალი, რომელიც მას ორი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში დაედო, როდესაც იგი ფაქტიურად არ თამაშობდა და არავითარ შემოსავალს არ იღებდა. დიდი თანხა უნდა გადაუხადოს ბრაზილიელმა „ვარსკვლავმა“ თავის პირველ ცოლსაც, რომელთანაც 7 ქალიშვილი ყოფილან. „ბოტაფოგოს“ აპელი „გულითადი“ დამოკიდებულება თავისი ფეხბურთელისადმი ემით არის გამოწვეული. რომ ევროპაში ტურნეს დროს იგი არ მოურიგდეს რომელიმე კლუბს (განსაკუთრებით უფრთხიან „იუვენტუსს“), რომელთანაც მოლაპარაკება გადასვლის საკითხზე გარინჩას უკვე არაერთგზის ჰქონია. ეს მეტად არასასურველი იქნებოდა „ბოტაფოგოსათვის“, მით უმეტეს, რომ გარინჩა ამჟამად დიდებულ ფორმაშია. უკვე წინასწარი ცნობა ამა თუ იმ მატჩში მისი მონაწილეობის შესახებ იწვევს იმას, რომ საბილეთო სალარები სწრაფად ცარიელდება.

ახლა გარინჩა ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელია მსოფლიოში.

• სასამართლოს დარგაზიდან

# ᲒᲠᲐᲙᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲜᲔᲑᲐ

**დამით** აეტომანქანა ბორჯომის ხეობაში სწრაფად შეჩერდა. ხაშურელმა „მეთვეზეებმა“ თორმეტმილიმეტრიანი სამიცი მეტრი ბადე მტკვარზე გაჭიმეს.

— ოო-ჰო, რა თევზია, ბიჭო!—დაიძახა ახოვანმა.

—ისე კარგად ჩავეტეტეთ მდინარე ვფიქრობ, ერთი თევზიც ვერ გაგვექცეს!—დაუმატა მეორემ.

მართლაც, აუარებელი თევზი დაიჭირეს, ტომრები აავსეს, ბევრი დაწუნებული მდინარეს გაატანეს, კვალი არავინ ნახოსო.

როდესაც გამვლელი ავტომანქანით შინისაკენ გამობრუნდნენ „მეთევზეები“ დაეკავეს, დანაშაულის ჩადენისათვის აქტი შეუდგინეს, 301 კილოგრამი თევზი ჩამოართვეს.

ბრაკონიერები ს. მინაძე, კ. ჩაჩანიძე, ვ. ცერცვაძე, ვ. კოპაძე, მ. კოპაძე პასუხისგებაში მისცეს. გამოირკვა, რომ ს. მინაძე, კ. ჩაჩანიძე, ვ. კოპაძე, ვ. ცერცვაძე თევზჭერის წესებს დარღვევისათვის წინათაც დაჯარიმებულნიც ყოფილან. მაგრამ მათ საჭირო დასკვნები ვერ გააკეთეს, ამჯერადაც, თევზი კანონით აკრძალული ზომის ბადით დიჭირეს.

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ გ. ნიფარიძის თავმჯდომარეობით ბრაკონიერებს ს. ჩ. მინაძეს, კ. ვ. ჩაჩანიძეს, ვ. ა. ცერცვაძეს, მ. ვ. კოპაძეს ორ-ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საკადრისი სასჯელი მიეზღო ვ. გ. კოპაძესაც.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამხ. ა. ხონიაკინას თავმჯდომარეობით განაჩენი ბრაკონიერების მიმართ ძალაში დატოვა.

**კ. კვარაცხელი.**

# ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

**ა. მეტრეველის წარმატება**

**როგორც** წესი, უიმბლდონის ტრადიციულ ტურნირზე ყოველთვის თავს იყრიან უძლიერესი ჩოგბურთელები. ამიტომ ამ შეჯიბრებას სავსებით სამართლიანად არაოფიციალურ მსოფლიოს პირველობას უწოდებენ.

სტარტზე სსრ კავშირის ჩემპიონმა **თ. ლეიუსმა** სძლია სამხრეთაფრიკელ ჩოგბურთელს **ფ. მაკ-მილანს.** მაგრამ ამას მოჰყვა მეორე საბჭოთა სპორტსმენის მოსკოველი **ვ. ეგოროვის** დამარცხება მსოფლიოში ცნობილ ჩოგბურთელთან ავსტრალიელ **ფ. სტოლესთან** 3:6, 4:6, 5:7.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ა. მეტრეველმა** მოუგო იამაიკელ დ. რასელის 6:3, 6:8, 11:9, 6:2.


# რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

**ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ**

**25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის—„მშვიდობით, მშობლიურო სკოლავ“, 19.00 — განცხადებები, 19.05 — გადაცემა „ჯანმრთელობა წარმატების საწინდარია“, 19.25 — ეროვნული კვეკვი, 19.35 — „მარტის პლენუმის საპასუხოდ“, 19.45 — გადაცემა — „საინტერესოა ვიცოდეთ“, 19.55 — ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „რიჩარდ III“ (ტრანსლაცია მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრიდან), 23.00 — ახალი ამბები.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი**



**რუმინელი** მომღერლის, ეოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის პრემიერის

**ლადილავ კონიასა**

და საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტს

**ზურაბ ანჯაფარიძის**

**გასტროლები**

პარასკევს, 25 ივნისს

**ჯ. ვერდი**

**აიდა**

რადამესის პარტიას შეასრულებს **ზ. ანჯაფარიძე,** ამონასროს პარტიას შეასრულებს **ლ. კონია**

დასაწყისი 7 ს. 30 წ.

ბილეთები იყიდება

**„დინამოს“**

**სტადიონი,**

**აკ. წერეთლის**

**პროსპ. № 2.**

**ᲢᲔᲚ. 5-21-62**

25 და 26 ივნისს

**ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ**

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის გუნდებს შორის

„კოლია სოვეტოვი“ კიევიშეკი — „დინამო“ თბილისი

25 ივნისს სათადარიგო შემადგენლობანი

**დასაწყისი 19 ს. 30 წ.**

26 ივნისს ძირითადი შემადგენლობანი

**დასაწყისი 20 საათზე**

ბილეთები ყველა სახის ამონუმენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 25 ივნისს 12-დან 19 საათამდე. შესვენება 15-16 ს. ბილეთების საერთო გაყიდვა 26 ივნისს 10 საათიდან.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობათა თამაში, გადატანილ იქნება „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.



**რედაქტორი**

**დ. მჰედლიშვილი.**


# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ

**გუდაუთი.** (საკ. კორ.). კორორტ გუდაუთში პირველი დამსვენებლები მიიღო ახალმა სამსართულიანმა დასასვენებელმა სახლმა „ალაშარამ“.

სახლის ყველა პალატა ორ და სამსაწოლიანია. მოაგარაკეთა განკარგულებაშია საცეკვაო მოედანი, რომელიც შენობის მესამე სართულზეა მოთავსებული, აგრეთვე 200-ადგილიანი კლუბი.

ამჟამად „ალაშარაში“ ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მშრომელები ისვენებენ.

• • •



**სურათზე:** გუდაუთის ახალი დასასვენებელი სახლი „ალაშარა“.

ფოტო **გ. ტოლმაჩევისა.**


• ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ •

# ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘ?

**მოელიან,** რომ ჩვეულებრივი აზრით ივლისი თბილი იქნება სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის მეტ ნაწილზე, კავკასიის სანაპიროზე და შუა აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო ჩვეულებრივზე თბილი — სამხრეთ უკრაინაში. მოლდავეთში, ამიერკავკასიაში, დასავლეთ ციმბირში, ყაზახეთსა და თურქმენეთში, ზღვისპირეთის მხარესა და მაგადანის ოლქში, პირიქით, იგი ჩვეულებრივზე ცივი იქნება მურმანსკის ოლქსა და აღმოსავლეთ ციმბირში, შუა აზიის აღმოსავლეთ ნაწილში.

ხშირი წვიმები იქნება საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში და ციმბირში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, აგრეთვე ხაბაროვსკისა და ზღვისპირეთის მხარეებში. წვიმები ცოტა იქნება საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, დასავლეთ ციმბირსა და მაგადანის ოლქში.

**საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე** დამსვენებელთათვის ხელსაყრელია ვერლსის პირველი ნახევარი და უკანასკნელი ხუთდღიური. ცენტრში და აღმოსავლეთში, უკრაინასა და მოლდავეთში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, ნალექები არსებითად პეკრი არ იქნება, სამშუხაროდ, მეოთხე და მეხუთე ხუთადღიურებში ამინდი გაუარესდება: ცალკეულ ადგილებში მოღრუბლულობა, ადგილ-ადგილ ხანმოკლე წვიმები და ელქეენი. ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში თითქმის მთელ თვეს მერყეკ ამინდს მოელიან.

ყველაზე თბილი იქნება მეორე დეკადა და უკანასკნელი ხუთდღიური — ტემპერატურა ბალტიისპირეთსა და ბელორუსიაში აიწევს 25-30 გრადუსამდე, ცენტრსა და აღმოსავლეთში — 27-32-მდე, უკრაინაში, მოლდავეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ქვემო ვოლგისპირეთში — 29-34 გრადუსამდე. გრილი დღეები იქნება ივლისის პირველ და მეხუთე ხუთდღიურებში, როცა ტემპერატურა ჩრდილოეთში ღამით დაიწევს ბლუს 1-6 გრადუსამდე, შუა ზოლში — 5-10-მდე, უკრაინაში, მოლდავეთსა და ვოლგისპირეთში — 10-15 გრადუსამდე.

ყირიმის სამხრეთ ნაპირსა და კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მოწმენდილი და მშრალი ამინდი იქნება პირველ და მესამე ხუთდღიურებში. დანარჩენ დროს — ცალკეულ ადგილებში მოღრუბლულობა. აქაც ხანმოკლე წვიმები და ელქეენი. შუა თვეში სიცხე. მართალია, დანარჩენ დროსაც საკმაოდ ეცხელება.

დასავლეთ ციმბირში მოსალოდნელია ცალკეულადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმები და ელქეენი. სამხრეთში ხანგრძლივად მოიწმენდს მესამე და მეექვსე ხუთდღიურებში, დანარჩენ დროს ეცხელება — 29-39 გრადუსი. ჩრდილოეთში ოდნავ უფრო ეგრილება.

**აღმოსავლეთ ციმბირშიც** ცალკეულადი მოღრუბლულობა იქნება წვიმითა და ელქეენით. ეცხელება მეტწილად პირველ დეკადაში. ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაწევს თვის შუა რიცხვებში, აგრეთვე მესამე დეკადაში, ცა იშვიათად დაიფარება ღრუბლებით ი